



ცვლილებების ინიციატორთა ფორუმი 2014 წლის 13-14 თებერვალი

სესიის მიმოხილვუ

რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხმა ადგილობრივი დუ ეროვნული პოლიტიკის დონეზე

სესიის ხელმძღვანელი: გენადი გელაძე, დემოკრუტიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

სესიუზე დამსწრე საზოგადოებამ იმ ძირითადი პრობლემებზე ისუბრუ, რომლებიც აფერხებენ რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თუნამშრომლობას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. სესიის მონაწილეებმუ აგრეთვე წარმოადგინეს თუვიანთი ხედვუ, თუ როგორ არის შესაძლებელი აღნიშნული პრობლემების მოგვარება.

სესიუ ინტერაქტიულ ფორმატში წარიმართუ, რის შედეგადც გამოთქმული მოსაზრებები შეჯამდუ ცხრილის სახით.

ვინაიდან, პრობლემები, ასევე მათზე რეაგირების გზები არ ამოიწურებუ მხოლოდ სესიუზე გამოთქმული მოსაზრებებით, არსებული მდგომარეობის უკეთ შესაფასებლად, მიღებულ იქნუ გადაწყვეტილება რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებში შემუშავებული ცხრილის გავრცელებასთან დუკავშირებით. მიღებული კომენტარები სამომავლოდ ხელს შეუწყობს ერთგვარი სამოქმედო გეგმის დასახვას, რათუ გაძლიერდეს რეგიონული ორგანიზაციების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პრობლემა/საჭიროება:	რეაგირების ინსტრუმენტი:
<p>დედაქალაქში არ არსებობს რესურს-ცენტრი (ოფისი, შეხვედრის ოთახი, კომპიუტერი, ქსეროქსი) სადაც რეგიონული ორგანიზაციები დაუბრკოლებლად შეძლებენ მუშაობას.</p>	<p>ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი უზრუნველყოფს შეხვედრების ადგილს (რესურს-ცენტრს) რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.</p> <p><u>მოსაზრებები შეხვედრის ადგილის (რესურს-ცენტრის) ფუნქციებთან დაკავშირებით:</u></p> <ul style="list-style-type: none"> ✓ რესურს-ცენტრში სამუშაო დღეებში შესაძლებელი უნდა იყოს რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების დაუბრკოლებელი მუშაობა (სამუშაო კომპიუტერი, ინტერნეტი, შეხვედრის ოთახი); ✓ რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებს რესურს-ცენტრში უნდა შეეძლოს საქმიანი შეხვედრების დანიშვნა, ამისათვის რესურს-ცენტრს უნდა ჰყავდეს კოორდინატორის ფუნქციების შემსრულებელი პირი; ✓ გარკვეული რაოდენობის ინიციატივების შეჯერების შემდეგ, რესურს-ცენტრმა უზრუნველყოს ხელისუფლებასთან შეხვედრები (რეგიონული ორგანიზაციების ინიციატივების, საჭიროებების შესაბამისად); ✓ საკოორდინაციო საბჭოს შექმნა რესურს ცენტრში, რომელსაც ექნება კოორდინაციის ფუნქცია; ✓ დონორების, რეგიონული არასამთავრობოების და დედაქალაქში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის კოორდინაცია; ✓ რესურს ცენტრი უნდა იყოს არა მხოლოდ შეხვედრის ადგილი, არამედ რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვის, სტრატეგიული გეგმების შემუშავების ცენტრი;
<p>არ არსებობს რეგიონულ ორგანიზაციებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმი.</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ სასურველია არსებობდეს ვებ - პორტალი, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ (პროექტები, სერვისები, კონტაქტები და ა.შ.); ✓ უნდა განხორციელდეს ვებ-პორტალის მეშვეობით კონკრეტული საკითხების წამოწევა ლობირებისათვის (მაგ. ინიციატივებზე სხვა არასამთავრობოების ხელმოწერა ელექტრონულად).
<p>რეგიონებში მოქმედ ცენტრალური ხელისუფლების რეგიონულ სტრუქტურებს შეზღუდული აქვთ უფლებამოსიანობა.</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ სასურველია რეგიონებში მოქმედ ცენტრალური ხელისუფლების რეგიონულ სტრუქტურებს გააჩნდეთ ფართო უფლებამოსილება; ✓ სასურველია ეროვნულ დონეზე მოქმედ სახელმწიფო ინსტრუქტებს ყველა რეგიონში გააჩნდეთ ფართო უფლებამოსილების მქონე სტრუქტურები (არა ტექნიკური ფუნქციების შემსრულებელი,

	არამედ გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე).
არ არსებობს რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის ეფექტური ინსტრუმენტები, ხოლო უკვე არსებული გასაძლიერებელია	<ul style="list-style-type: none"> ✓ რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უკვე შექმნილი და მოქმედი ქსელები, კოალიციები გასაძლიერებელია; ✓ სასურველია შეიქმნას და გაძლიერდეს კონკრეტულ მიმართულებებზე მომუშავე (სურსათის უვნებლობა, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, ადგილობრივი თვითმმართველობა, არჩევნები, დაუცველი ჯგუფები და ა.შ.) რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელები, კოალიციები
რეგიონული ორგანიზაციები გაძლიერებას საჭიროებენ	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოხალისეობის გაძლიერება; ✓ დამწყები ორგანიზაციების გაძლიერება; ✓ ორგანიზაციული გაძლიერება; ✓ ტრენინგები/კურსები არასამთავრობოების მართვაზე (NGO Management)